ქვეყანა : საქართველო

პროექტის ნომერი: 42801

სექტორი: ენერგეტიკული

საჯარო/კერძო: კერძო

სტატუსი : კონცეპტუალური განხილვის სტადია

პროექტის დოკუმენტაციის განთავსების თარიღი : 30 მარტი 2012

პროექტის აღწერა

EBRD (ევროპის რეკონსტრუქციის და განვითარების ბანკი) განიხილავს რაჭაში, მდ. ლუხუნზე მშენებარე 16-17მვტ. ჰესისა და ელექტროგადამცემი ინფრასტრუქტურის მშენებლობის დაფინანსების საკითხს. ელექტროსადგური შეუერთდება ენერგოსისტემის ქსელს ურავში არსებულ 35კვტ ქვესადგურში.

პროექტის ზემოქმედება

<u>კერძო მფლობელობის სტიმულირება:</u> ბანკი განახორციელებს კერძო ინვესტორის მხარდაჭერას მცირე და საშუალო ზომის ჰიდროელექროსადგურის მშენებლობასა და ოპერირების საქმეში საქართველოში სადაც სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ელექტრო-ენერგიის გამომუშავების კომპანიები აკმაყოფილებენ არსებული მოთხოვნის 50%-მდე. ამასთანავე, პროექტი ხელს შეუწყობს ელექტრო-გამომუშავების სფეროში კონკურენციის ზრდას, ვინაიდან იგეგმება ლუხუნი ჰესის გამომუშავებული ელექტროენერგიის ნაწილის გაყიდვა არსებულ კონკურენტულ ბაზარზე.

<u>კორპორატიული მართვისა და ბიზნეს ქცევის სტანდარტები:</u> პროექტს ასევე გააჩნია პოტენციალი, დასახოს ჰიდროენერგეტის ბიზნესის ქცევის ერთგვარი ეტალონი საქართველოში გარემოზე ზემოქმედების შეფასების საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის გამოყენებით. პროექტის განვითარება მოხდება ადგილობრივი ინვესტორის მიერ EBRD–ის მოთხოვნების სრული დაცვით, რაც თავის მხრივ სრულად შეესაბამება ევროკავშირის გარემოსდაცვით მოთხოვნებსა და საერთაშორისო ჰიდროენერგეტიკის ასოციაციის განვითარების საერთო კურსს. ასეთი მაღალი სტანდარტები ნამდვილად მისაბაძი მაგალითი უნდა გახდეს მომავალი ჰიდროენერგეტიკული პროექტებისათვის საქართველოში.

კლიენტი

ლუხუნი ჰესის მშენებლობის და ოპერირების მიზნით შეიქმნება სპეციალური უფლებამოსილი კომპანია, რომელიც სრულად იქნება შპს "რუსმეტალის" მფლობელობაში და მის კონტროლის ქვეშ.

EBRD-ის დაფინანსება

ევრობანკის დაფინანსება მოიცავს 7 მილიონამდე აშშ დოლარს უზრუნველყოფილი კრედიტის სახით

პროექტის ღირებულება

პროგნოზირებულია შეადგინოს დაახლოებით 18 მლნ აშშ დოლარი.

გარემოზე ზემოქმედება

აღნიშნულ პროექტს შესაძლებელია გააჩნდეს სხადასხვა მნიშვნელოვანი არასახარბიელო ეკოლოგიური თუ სოციალური ზემოქმედება, რომელთა წინასწარ სრული გამოვლენა და შეფასება შეუზლებელია. აღნიშნულის გამო პროექტს მინიჭებული აქვს „ა" კატეგორია EBRD–ის 2008წ "გარემოსდაცვითი და სოციალური პოლიტიკის" დანართი 1-ის შესაბამისად.

გარემოსდაცვითი და სოციალური ზემოქმედების შეფასება ჩატარდა საქართველოს კანონმდებლობის, ევროკავშირის გარემოსდაცვითი დირექტივებისა და EBRD–ის გარემოსდაცვითი და სოციალური პოლიტიკის მოთხოვნების შესაბამისად. მომზადდა დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის გეგმა, გარემოსდაცვითი და სოციალური სამოქმედო გეგმა, არატექნიკური რეზუმე, რაც ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასებასთან ერთად იქნება წარმოდგენილი. ყველა ეს დოკუმენტი 60 დღის განმავლობაში იქნება საჯარო, როგორც ეს ბანკის პოლიტიკით კერძო სექტორისათვის არის განსაზღვრული.

ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასება, დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის გეგმა, გარემოსდაცვითი და სოციალური სამოქმედო გეგმა, არატექნიკური რეზუმე <u>ხელმისაწვდომია.</u>

www.rusmetali.com

ამ პროექტის <u>ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასება</u> ხელმისაწვდომია.

http://www.ebrd.com/pages/project/eia.shtml

ტექნიკური თანამშრომლობა

ტექნიკური თანამშრომლობის დაფინანსება სრულად არის განხორციელებული აქციონერთა სპეციალური ფონდიდან.

ტექნიკური თანამშრომლობს ფარგლებში 35000 ევროთი დაფინანსთდა პროექტის ტექნიკური და გარემოსდაცვითი ექსპერტიზა.

ბიზნესის შესაძლებლობები

ბიზნესის შესაძლებლობების ან შესყიდვების შესახებ ინფორმაციის მისაღებად, დაუკავშირდით კლიენტ კომპანიას.

ზოგადი ინფორმაცია

შესყიდვების საკითხის გარდა, პროექტის შესახებ ინფორმაციის მისაღებად დაგვიკავშირდით ევროპის რეკონსტრუქციის და განვითარების ბანკს:

ტელ: +44 20 7338 7168; ფაქსი: +44 20 7338 7380
ელ-ფოსტა: projectenquiries@ebrd.com

პოლიტიკა ინფორმაციის საჯაროობის შესახებ (პის)

ინფორმაციის საჯაროობის შესახებ შემუშავებულ პოლიტიკაში ჩამოყალიბებულია EBRD–ის ინფორმაციის საჯაროობისა და აქციონერებთან კონსულტაციების მექანიზმები, რომელიც გამოიყენება უკეთესი საზოგადოებრივი შემეცნებისა და მისი სტრატეგიების, პოლიტიკისა და ფუნციონირების შესახებ ინფორმაციის გაცნობიერებისთვის. Text of the PIP

პროექტის გასაჩივრების მექანიზმი

EBRD–მა შეიმუშავა პროექტების გასაჩივრების მექანიზმი ცალკელი პირების, ხალხთა ჯგუფისგან ან ორგანიზაციებისგან ბანკის მიერ დაფინანსებულ პროექტთან დაკავშირებით წარმოდგენილი საჩივრების დამოუკიდებელი განხილვის შესაძლებლობების უზრუნველსაყოფად. ეს მექანიზმი მოქმედებს როდესაც არსებობს ვარაუდი დამდგარი ან სავარაუდო ზიანის შესახებ. პროექტის გასაჩივრების მექანიზმის განმსაზღვრელი წერებისა და პროცედურების გასაცნობად იხილეთ შემდეგი ბმული: www.ebrd.com/downloads/integrity/pcmrules.pdf, რუსული ვერსია შეგიძლიათ იხილოთ ბმულზე: http://www.ebrd.com/downloads/integrity/pcmrulesr.pdf

პროექტის გასაჩივრების მექანიზმის ფარგლებში ნებისმიერი საჩივარი წარმოდგენილი უნდა იქნეს EBRD–ის მიერ ფინანსური რესურსების გამოყოფიდან არაუგვიანეს 12 თვის ვადაში. შეგიძლიათ დაუკავშირდეთ პროექტის გასაჩივრების მექანიზმის პასუხისმგებელ პირს (ელ. ფოსტა: pcm@ebrd.com) ან დახმარებისთვის მიმართეთ EBRD–ის ადგილობრივ წარმომადგენლობას თუ გსურთ გაიგოთ კონკრეტულად რა ვადებშია შესაძლებელი საჩივრის წარმოდგენა.